კარი II
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკა

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტში საჩივრების განხილვის შედეგები

2013 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 272 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 218 შემოვიდა 2012 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 52 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 19,1%;

2. 7 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 2,6%;

3. 4 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება – 1,5%;

4. 213 საჩივრის (განცხადების) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინარული სამართალწარმოება – 78,3%.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმეთა განხილვის შედეგები

2013 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველი იყო 2 დისციპლინური საქმე, რომელიც შემოვიდა 2012 წელს.

2013 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 2 დისციპლინური საქმე 2 მოსამართლის მიმართ:

1. 1 დისციპლინარულ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში (1 მოსამართლე).

2. 1 დისციპლინარულ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით (1 მოსამართლე).

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში შემოსული საჩივრების განხილვის შედეგები

2013 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

გასაჩივრებულ იქნა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული 5 გადაწყვეტილება ადვოკატთათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ. სადიცსიპლინო პალატამ ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა 2 საჩივარი; დააკმაყოფილა – 1; დაუშვებლად იქნა ცნობილი - 1; ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდა 1 საქმე.